ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 13 ოქტომბერი № 1609

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კიოსკში

სურათები საქართველოს რუსეთთან შეერთების დროის საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა ფასი 20 კ.

ჯგუფი ქართველთა მწერლებისა

სურათები, შედგენილი ტ. მომცელიძისა.—ფასი 85 კაპ..

იქვე იყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—1)

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

მ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 8—10 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10–12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

11 ოქტომბერი

პეტერბურგი. 11 ოქტომბერს პეტერბურგში დაბრუნდა ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კოვალევსკი.

11 ოქტომბერს, დილის მე-5 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა შაპოშნიკოვის თუთუნის ფაბრიკას. ზარალი 20 ათას მანეთამდეა.

11 ოქტომბერს, შუადღის 12 ს. და 15 წ., კრონშტადტიდან წავიდა წყნარ ოკეანესაკენ ჯავშნიანი გემი „პერესვეტ“.

ვარშავა. ვარშავ-კალიშის რკინის გზის კეთება სწრაფლად სწარმოებს. მუშათა მატარებლები უკვე მთელ გზაზე დადიან.

13 ნოემბერს სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს პროფესორის ვენცისა, რომელსაც ვარშავის საოლქო სასამართლომ 2½ წლით პატიმართა როტაში გაგზავნა მიუსაჯა.

ვორვინისა და პიოტროვსკის საქმე, რომელთაც კაცის მოკვლა განიზრახეს, გადაიდო 30 ნოემბრამდე, რადგანაც გუშინ მოწმეები არ გამოცხადდნენ.

ნოვოროსიისკი. გვალვაა; ზღვა ისევ ღელავს; ცოტათი ყინავს.

მოსკოვი. 11 ოქტომბერს საოლქო სასამართლომ განიხილა სამის პატიმარის საქმე; მათ ბრალდებოდათ საპატიმროში ყალბი ფული მომზადება; სასამართლომ მიუსაჯა: პოპოვს—უვადო კატორგა და 95 მათრახი, სელეზნიოვსა და სარაფანოვს თითოეულს—12 წლის კატორგა და 90 მათრახი. საპატიმროს უფროსის თანაშემწემ განაცხადა, რომ ზედამხედველი ცოტა ჰყავს და პატიმართ თავისუფლად შეუძლიათ ყალბი ფულის დამზადება.

მოსკოვი. მოსკოვის მახლობელ დაბა სოფლებში ბევრი ყალბი ხუთ-მანეთიანი აღმოაჩინეს. სამაზრო პოლიციამ გამოიძია, რომ ყალბი ფული უმთავრესად იმ გლეხთა ხელში შეგროვილა, რომელთაც თივა გაჰყიდეს ამას წინად მოსკოვში; პოლიციამ გაიგო ადრესი იმ ვაჭრისა, რომელიც ყალბ ფულს ურიგებდა გლეხებს. ვაჭრის სადგომი და მაღაზია გაჩხრიკეს და უნახეს ორი ყალბი ხუთ-მანეთიანი და ყალბი ფულის მოსაჭრელი იარაღები. საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

შეერთებული შტატები. «ტამს»-ის ნიუიორკელი კორესპონდენტი იწერება: სარწმუნო კაცებისაგან გავიგე, პრეზიდენტი რუზველტი კონგრეს ურჩევს, რომ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობა დაარსონ.

✿ ახალი პრეზიდენტი მეტად თავისებურად, დამოუკიდებლად იქცევა: არც ერთ დასს არ უდგება. ამაზე რესპუბლიკელი დასი და მათი მეთაური განთქმული სენატორი ჰანნა (გახსოვთ, მაკ-კინლეის დასაფლავების დროს რომ ორი დიდი ლოდი ესროდეს) ძალიან უწყრებიან თურმე რუზველტს. რესპუბლიკელთ დასი და მათი მეთაური ჰანნაც დიდ როლს თამაშობდნენ მაკ-კინლეის დროს. განსვენებული პრეზიდენტიც თითქმის ამათი ყურმოჭრილი ყმა იყო. ბოლოს დროს ისიც კი უპირობდათ გადადგომას, მაგრამ აღარ დასცალდა თავისი წადილი აესრულებინა. ახალ პრეზიდენტსა და რესპუბლიკელი დასის მეთაურს უფრო შემდეგზე მოსდით უთანხმოება: რაც კი სამხრეთ და შუა შტატებში ადგილი იცლება, რესპუბლიკელებს სწადიანთ, სულ თავიანთი კანდიდატები ჩასვენონ. რუზველტმა გადაჭრით გამოუცხადათ: მე დასს არ დავსდევო; ოღონდ ღირსეული მოქალაქე კი იყოს და ჩემთვის სულ ერთია, დემოკრატი იქნება თუ რესპუბლიკელი, ერთნაირად დავნიშნავ ადგილზეო.

საზოგადოებას მეტად მოეწონა ახალი პრეზიდენტის მიუდგომელი ქცევა: დიდი ხანია, რაც ამერიკის პრეზიდენტი ასე მიუდგომლად არ მოქცეულა. მაკ-კინლეის დროს ხომ რესპუბლიკელი დასი როგორც უნდოდა, ისე იქცეოდა.

ეხლა ამ დასს და მეტადრე მის წინამძღოლებს ძლიერ ეშინიანთ ახალი პრეზიდენტის პოლიტიკისა. რესპუბლიკელებს ეშინიანთ: რუზველტმა ახალი დასი არ შეადგინოსო. ამბობენ, სენატორ ჰანნას წრეში რუზველტს ბულანჟეს ადარებენო.

იტალია. ვაჭრობის მინისტრად ნამყოფმა პროფესორმა ლუცატიმ გაზ. «პიკოლო»-ში წერილი დაბეჭდა და ამტკიცებდა, რომ სავაჭრო ხელშეკრულობას სხვა სახელმწიფოებთან 1904 წლის 31 დეკემბრამდე უნდა ჰქონდეს ვადაო. ლუცატის აზრით, ჯერ არც ერთი სახელმწიფო არაა მომზადებული, რომ ახალ სავაჭრო ხელშეკრულობაზე მოლაპარაკება დაიწყოს სხვა სახელმწიფოებთან. ამას გარდა ლუცატი დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ გარემოებას, რომ რუზველტი ევროპის სახელმწი-

ფელეტონი

სასცენო სურათები*)

მეორე

სიკო მარტო

სიკო. როგორ მებრალება, მაგრამ რა ვუწამლო? ღმერთმა ხომ იცის, რომ მისი მოშორება არ მინდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით რითი ვარჩინო?.. არა, იმისი ქალაქიდან გაშვება ყოვლად შეუძლებელია .. ვერც მე გავძლებ უიმისოდ... ძალიან დამწყვიტა გული იმისმა ნახვამ! წავალ, შევეხვეწები, გულკეთილი ქალია... ჩემთან დარჩება, სიმწუხარეს მომიმატებს; საქმეს მუყაითად შევუდგები... მე იმასთან დანაშაული ვარ, მაგრამ ვეცდები, გამოვისყიდო ეს დანაშაულობა, როგორც უნდა დამიჯდეს!.. ორივე შემთხვევაში ძალიან მოუფიქრებლად დავიჭირე თავი, მაგრამ .. მაგრამ რაღა დროსია! (დაჯდება, ფიქრობს). არა, უთუოდ უნდა გადავიდე ამ სახლიდან და მინადორაც ჩემთან ვიყოლიო!.. მერე ამათ რომ ფული არ მომცენ? ძალით ვერ გამოვართმევ, იმიტომ, რომ არაფერი წერილობითი საბუთი არა მაქვს რა! ან მუქარით უნდა გავხდე რასმე, ან ალერსით... ისევ მუქარა სჯობიან! მართლაცა და რა მაქვს საალერსო ამ მეფურნეებთან? დეე, გაიგონ, რომ ჩემისთანა კაცი ადვილი საშოვარი არ არის მაგათთვის... მაგრამ... მაინც ფულია საჭირო...

7 სანახავი.

სიკო და ნიკოლა

ნიკოლა (შემოდის). ეხლა ხომ მარტო ხარ, შეიძლება ეხლა ვილაპარაკოთ?

სიკო (ამაყად). მე თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, გითხარით და გავათავე: იძლევით ფულს, თუ არა?

ნიკოლა. ფული არ არის—რა გაკლია? ეს სახლი, ეს კარი .. მიჰყავი რაღა ხელი შენს საქმეს! რაღასა ჰფიქრობ?

სიკო. მე ყოველ გამვლელ-გამომვლელს არ ავუხსნი მიზეზს... იძლევით თუ არა?

ნიკოლა. არ გვაქვს, არც ვიძლევით და არც დაგპირებივართ! (წყენით). „გამვლელ-გამომვლელს!“ მართლა რა ფუქსავატადა გვხდი? რა მწვანე კიტრი გგონია შენი თავი! რა მინდაო? ბავშვებთანა გაქვს საქმე თუ ადამიანებად აღარ გვაგდებ?

სიკო. რა ადამიანები ხართ? მაგრამ ვის ველაპარაკები! მე პასუხს ვითხოვ!

ნიკოლა. (დაცინვით) აპრეს! დუნ აპრეს! არ შეგცივდეს! „ვის ველაპარაკები!“ გაიგებ, ვისაც ელაპარაკები!.. მე-კი გირჩევ, ცოტაც არის, მოშინაურდე... რაც გიფიქრია, ხელს არ მოგცემს! ქალი მიზეზი იყო რაღა, რომ ქონება და ფული შეგეძინა? ხელი მოგეთბო, და საწყალი ქალი შენთან იქნებოდა თუ სხვასთან, ეგ სულ ერთი იყო, ჰა? მერე დაწყობილ საქმეს გათავება არ უნდა? ესეც გიფიქრია?

სიკო. მაშ უარს მეუბნებით? მე დღესვე გადავდივარ, თქვენი ქალი ბრძანდებოდეს თქვენთან!

ნიკოლა. ჰა, სახვეწურად არ გაიხადოთ საქმე!.. ეხლა, სადაც გნებავთ, მიბძანდით. ჯერ ჩვენი ფული დაგვიბრუნეთ..

სიკო. რა ფული? რა მმართებს თქვენი? რომელი დოკუმენტების ძალით მედავებით ფულსა?

ნიკოლა. ჰოო? განა ეგრეა საქმე?! ბარათები? ჯერ მე ორასი თუმნისა მაქვს, ახლა შენი სიდედრისა?

სიკო. მასხარულად დაბღაჯნილი ქაღალდის ნახევები დოკუმენტები არ არის!

ნიკოლა. მაშ... გეტყობა, შორიდან დაგიწყვია საქმე!.. პირველად ჩვენზე იჩენ შენი ადვოკატობის უნარს?..

8 სანახავი.

იგინივე და თალხა.

თალხა (გაკაპასებული შემოდის.) ჰე, წაუდექით ერთმანეთს პირში: ვინ რას დაჰპირდა და არ აუსრულა! ორივე აქა ხართ.

ნიკოლა. ცოტა დამაცადე...

თალხა. რას ტუტუცობ, ვიღაც ოხერი გდიხარ? რა უნდა დაგაცადო, როდესაც გულ-შეწუხებული ქალი ლოგინში მიწევს! (სიკოს.) ვინ იყო ის ქალი?

სიკო. თქვენი საქმე არ გახლავთ, ვინც იყო!..

თალხა. როგორ თუ არ გახლავთ?! შენ ჩემ სახლში ვიღაც ქალები შემოგყავს, როდესაც ჩემი გულ-შეწუხებული ქალი ხელზე მისვენია! ჩემი სახლი სარიასკიპოც გახდა?! ვისთან რა გვაქვს სახვეწარი! თვალი ყველასაც დასდგომია, თუ კი ერთად ერთი ქალი არ მეყოლება! რაზე უნდა მოიკლას თავი ამოდენა ქონების პატრონმა! თვალი ქმარსაც დაუდგება!.. ვინც შეუყვარდება, ქმარი არ არის? მოიყვანოს და აცხოვროს!.. ქა, მართლა სალოცავად არ გაგვიხდა!..

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1605.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოებთან სავაჭრო ხელშეკრულობის ჩამოგდებას აპირობს: შეერთებული შტატების ახალი სავაჭრო პოლიტიკა ევროპის სახელმწიფოებსაც ძალას დაატანს, თავიანთ განხეთქილებას თავი დაანებონ და საერთო სავაჭრო პოლიტიკას დაადგნენ.

ბოლგარია. «კელნიშე ცაიტ.»-ის სოფიელი კორესპონდენტი სწერს:

ამერიკის მთავარმა კონსულმა დიკანსონმა გადაჭრით გამოაცხადა: ქ. ბ. სტონს ფულით არ გამოვისყიდითო. მე მტკიცე საბუთებით დავამტკიცებ, ქ. ბ. სტონი სარაფოვის დასმა მოატაცებინაო. ამიტომ დიკანსონი სთხოვს მთავრობას, ამ დასის მეთაურები დააპატიმრეთ და მაშინ ქ. ბ. სტონს უეჭველად გაანთავისუფლებენო: ოღონდ ის პირობა კი მიეცით ყაჩაღებს, რომ ხელი არ ახლოთო. ამერიკის კონსული ამბობს, თუ ეხლა ფულით დავიხსენით ქ. ბ. სტონი; ეს სამუდამო წესად დაიდებაო. ბოლგარიის მთავრობაც შეშინდა და კონსულის ბეჯითი თხოვნის თანახმად, ბრძანება გასცა, რომ გამოჩენილი უკიდურესი მაკედონიელი რევოლიუციონერები დააპატიმრეთო.

ოსმალეთი. «ბერლინერ ტაგებლატ»-ს სწერენ: ამერიკის ელჩმა ოსმალეთის მთავრობას ქაღალდი მისწერა და შეუთვალა: თუ ქ. ბ. სტონი მოჰკლეს, პასუხის გებას თქვენ მოგთხოვთო. იქნება ქ. ბ. სტონი ამ ჟამად ბოლგარიის ადგილებშიაც იყვეს, იქნება ოსმალეთის ქვეშევრდომების მოტაცებულიც არ იყვეს, მაინც ამ საქმის პასუხი ოსმალეთის მთავრობამ უნდა აგოს, რადგანაც ქ. ბ. სტონი პირველად ოსმალეთის საბრძანებელში მოიტაცესო.

ავსტრ-უნგრეთი. ჩეხების კლუბმა დაადგინა: კერბერის მთავრობას გამოუცხადოთ, რომ ამას იქით აღარაფერში გვენდობოთო. რადგანაც მთავრობა სიტყვით აცხადებს, ყველა ეროვნებას ერთნაირად ვუყურეთო, ნამდვილად კი სულ სხვანაირად იქცევაო, ამიტომ კლუბიც ამას იქით სულ სხვა ნაირად მოექცევა მთავრობასაო.

სამხრეთ-აფრიკა. გაზ. «როსსია»-ს ლონდონიდან სწერენ:

«ბურების რაზმები ნამდვილად კაპშტადტს ახლო მისულან და სოლდანაკ-ბაის ყურისაკენ მიდიან. აქ, ზღვის პირას გემები ევროპიდან მოტანილ სამხედრო მასალას დასცლიან და ბურები წამოიღებენო».

✿ ამ დღეებში სამხრეთ-აფრიკიდან ამბავი მოვიდა, ბოტას ისევ ინგლისელები შემოეხვივნენ გარსა და ნამდვილად საქმე გაუჭირესო. ეხლა კი ვეღარ წაუვათ ხელიდანაო, რადგანაც ინგლისის ჯარი რკინის რგოლივით შემოერტყა ბურების პატარა ჯარსაო. ეხლა «სტანდარდ»-ი სწერს: ბრიუსელში ამბავი მოსულა, ბოტამ კიდევ თავი დააღწია ამ «რკინის რგოლსა», ვაკერსტრომში დაბრუნდა და კარგ მიუდგომელ ადგილზე გამაგრდაო.

✿ დურბანიდან სწერენ გაზ. «სტანდარდ»-ს: სამხრეთ-აფრიკიდან ვოლონტიორებს აღარ უგზავნიან შინა, რადგანაც ნატალის საზღვარზე ბურები ისევ მხნედ მოქმედებენო.

✿ ლორდ კიტჩენერი არა ცხრება.—რეიტერის სააგენტოს სწერენ: ორანჟის რესპუბლიკის მოქალაქეს, ქალ. ბეტულიის მცხოვრებლს, ლეიტენანტ ბრიდას ჩამოახრჩობა გადაუწყვიტესო.

გაზეთ «ფიგარო»-ში ბ-ნი ბაპსტი სწერს: სანამ ინგლისის ჯარის მთავარ-სარდლად დაინიშნებოდა, ლორდ კიტჩენერი სულ სხვა აზრისა იყო ტრანსვაალის ომზე. ლორდს ეთქვა:

ინგლისმა ტრანსვაალის ომი მეტად უაზროდ დაიწყო; ყველა საქმის მცოდნე კაცები წინააღმდეგები იყვნენ ამ ომისა. ზოგიერთმა მინისტრმა თავიანთ სარფის გულისათვის ინგლისის ერი დაარწმუნეს, ეს ომი კი არა, უბრალო სეირნობა იქნებაო. მინისტრებმა ჯარები გაგზავნეს და შინიდანვე დაბარეს, ადგილებიც კი დაუნიშნეს, აქა და აქ უნდა გაიმარჯვოთო. ხალხი ათასობით გაიჟლიტა და ყველა ეს უბედურება მარტო პირჟის ოსტატებისა და კაპიტალისტების სასიამოვნოდ მოახდინეს მინისტრებმა.

ინგლისი. გენერალი ბადენ-პაუელი და კიდევ რამდენიმე სამხედრო კაცი მეფე ედუარდმა ბალმორალის ციხე-დარბაზში დაიბარა და სამხრეთ-აფრიკის ომის თაობაზე ელაპარაკა. ბადენ-პაუელი წარსულ კვირა დღეს და ორშაბათს ბალმორალში დარჩა.

✿ ასკიტმა 3 ოქტომბერს ედინბურგში დიდი პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა. ორატორმა, სხვათა შორის, აღნიშნა ისიც, რომ ირლანდიელ ნაციონალისტებსა და ინგლისელ ლიბერალებს შუა დიდი უთანხმოება ჰსუფევს საშინაო პოლიტიკის გამო. ორივე მხარემ სრულიად დამოუკიდებლად და თავისუფლად უნდა იმოქმედონო. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა მტრობა კი არავის ეგონოსო. ასკიტს ეთქვა:

«ლიბერალებს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ ირლანდიის საქმისთანა მძიმე და ძნელი გადასაწყვეტი საქმე ჩვენ არა გვაქვს რა. ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ჩვენი სახელმწიფო კაცები ვერას გახდნენ და ჩვენი იმპერიის ერთგულებას ვერ შეაჩვიეს ხალხი. ირლანდიაშიაც ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, როგორც კანადაში მოვაწყვეთ და როგორც, იმედი მაქვს, სამხრეთ-აფრიკაშიაც მოვაწყობთ (ტაშის კვრა).—აი ესაა ჩვენი იდეალი და ეს საქმე, ჩემის აზრით, ყოველი დასის კერძო ინტერესებზე და ყოველდღიურ ვარამზე გაცილებით უფრო საჭირო და საყურადღებო საქმეა».

ლიბერალურმა გაზეთებმა ამ სიტყვას უფრო კარგის თვალით შეჰხედეს და უფრო კარგად იხსენიებდნენ, ვიდრე ასკიტის წინანდელ ნალაპარაკებს იხსენიებდნენ ხოლმე, მაინც უსაყვედურებენ, ასკიტმა სამხრეთ-აფრიკის საქმეზე თითქმის ხმა არ ამოიღო და მკაფიოდ, ნათლად არ გამოთქვა, რომ ისიც ჰგმობს მთავრობის ბოლო დროინდელ ქცევასაო. მთავრობა ისე ცუდად იქცევა სამხრეთ-აფრიკაში, რომ ეხლა ფიქრიც კი არ შეიძლება იმაზე, ვითომ სამხრეთ-აფრიკაშიაც ისე მოურიგდეთ ბურებს, როგორც კანადელებთან ვართ მორიგებულიო.

ახალი ამბავი

✦ 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის სავაჟო 1-ლ გიმნაზიის დარბაზში, **საზოგადო საშუალო განათლების კურსებზე** ლექციების კითხვა დაიწყება.

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქ **დრამატიული დასი უკვე** შემდგარა და პირველ წარმოდგენას გამართავენ კვირას, 14 ოქტომბერს. დასში შედიან ქ-ნნი ჩხეიძე, გვეტაძე, კლდიაშვილი და სხვა; ბ-ნნი ვ. მესხიშვილი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, ჩარკვიანი, ქუჯი და სხვანი. რეჟისორად მიწვეულია ვლ. ალექსი მესხიშვილი, ადმინისტრატორობენ ბ-ნი ბალანჩივაძე და თუთბერიძე.

პირველი წარმოდგენისათვის ტფილისიდან საგასტროლოდ მიწვეულნი არიან ტასო აბაშიძე და ვ. გუნია. წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას პიესები „ცხოვრება“ ორ მოქმედებიანი დრამა და „პირველი ბუზი“ სამ მოქმედებიანი კომედია.

✦ გუშინ ტფილისში, მიხეილის საავადმყოფოში, **გარდაიცვალა** ს. პ. კაზანსკი. განსვენებული მოსკოველ მღვდლის შვილი იყო და განათლებაც მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო. იურიდიულ ფაკულტეტის გათავების შემდეგ ახალგაზდა კაზანსკის წინადადება მისცეს დარჩენილიყო უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. მაგრამ ეს მან არ ისურვა, რადგან მეტად გატაცებული იყო მუსიკით და სურვილი ჰქონდა ამ სფერაში ემუშავნა. მოსკოვში ყოფნის დროს სწერდა მუსიკალურ წერილებს, სხვათა შორის, ჟურნალ „რუსკია მისლ“შიც. უბედურ შემთხვევათა გამო კაზანსკი ციმბირში გაგზავნეს, სადაც კარგა ხანი დაჰყო. ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ მას არ ჰქონდა ნება ეცხოვრა სატახტო ქალაქში. რამდენიმე წლის წინად ნიჭიერი მემუსიკე ტფილისში ჩამოვიდა და ერთ ხანს მუსიკალურ სასწავლებელში მუსიკის თეორიის მასწავლებლად იყო. ამ ბოლოს დროს იგი მარტო საოპერო რეცენზიებს სწერდა რუსულ გაზეთებში. დღეს, 12 საათზე დანიშნულია პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ ექიმ **ოდნოსუმის** გასვენებას გუშინ დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის, იყვნენ გენერალ-ადიუტანტი ი. გ. ამილახვარი, ქალაქის თავის მოადგილე შესტაკოვი, ხმოსნები, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე შარიგინი, ექიმები და სხვა. განსვენებულის კუბოს ამკობდა დიდ-ძალი გვირგვინები.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა დაამტკიცა ტფილისის **ელექტრონით განათების** პროექტი (ჰელიოსის ფირმა). ამასთანავე ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესმა სამმართველომ წინადადება მისცა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, მიიღოს მხედველობაში არსებული ინსტრუქციები ტფილისში ელექტრონის განათების მოწყობის დროს, რათა არა ევნოს რა ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულებს.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ საგანგებო კომისიაში, რომელსაც **შინა-მრეწველობის დახმარება** აქვს მინდობილი, ამ დღეებში სჯა ჰქონიათ იმის შესახებ, რომ მოითხოვონ ამ საქმისთვის გადადებული კრედიტის გაძლიერება. დღეს ამ საქმეზე მთავრობა იძლევა მხოლოდ 100 ათასს მ. წელიწადში; კომისიის აზრით-კი, ეს წვეთია დიდ ზღვაში და საჭიროა უფრო თვალსაჩინო დახმარება გაეწიოს შინა-მრეწველთ. ამ საკითხს სახელმწიფო საბჭო განიხილავს ახლო მომავალში.

✦ პეტერბურგში ცნობა მოსვლიათ მიციდან (საფრანგეთში), რომ იქ გარდაცვლილა ცნობილი მილიონერი და პეტერბურგის საბანკო სახლის პატრონი **ვაველბერგი**.

ვაველბერგი, სხვათა შორის, აგენტი იყო ტფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურთა ბანკებისა პეტერბურგში.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსი ბ. **ველენევი** ამ დღეებში პეტერბურგს მიდის, რათა მიიღოს მონაწილეობა სახაზინო რკინის გზების სამმართველოში 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს.

✦ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ მოიწონა ლანჩხუთის სოფლის საზოგადოების შუამდგომლობა **ლანჩხუთში ოთხ-კლასიანი საქალაქო სასწავლებლის** დაარსების შესახებ და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, ბ. ზავადსკის, წარუდგინა დასამტკიცებლად.

✦ როგორც ვიცით, კავკასიელ **სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების** წესდების პროექტი დაუბრუნა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინიციატორებს ზოგიერთ ცვლილებათა მოსახდენად. ეხლა ხსენებულ საზოგადოების ინიციატორების მინდობილობით ბ. ფრენკელი თხოულობს დარჩეს უცვლელად წესდების მეორე მუხლი, რომლის ძალითაც სტუდენტისათვის შემწეობის დანიშვნის დროს სავალდებულო არ უნდა იქმნენ საზოგადოებისათვის უნივერსიტე-

---

გასწით, დამეკარგეთ სახლიდან, რა მაქვს სახვეწარი, თქვე მაწანწალა ურცხვებო!

სიკო. ეგ მეტი მოგდისთ! (გაჯავრებული.) თუ არ გაჩუმდებით...

თალალა. (ანთებული.) აი, როგორ გავჩუმდები!.. (წამოავლებს, რაც სტოლზე აწყვია, და აქეთ-იქით ისვრის.) გამშორდი ეხლავ, თვალით არ დამენახო!.. როგორ თავს წაუვიდა ამ მაწანწალას!.. (წიგნებს და ქაღალდებს ზოგს სიკოს მიაყრის, ზოგს ნიკოლას; სიკო თავის ოთახში შევარდება.) გენაცვალეთ, გული მეფერება! სისხლი თავში ამივარდა!.. დამბლა მომდის... (დაჯდება ქაქანით; ნიკოლა შეშინებულის სახით ერთ კუთხეში მიიკუნჭება.)

ა. ცაგარელი

(დასასრული)

ვარამი ჩვენი ცხოვრებისა

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

წერილი მე-14

„როდის დავაწყებინო ნიკოს რუსული ენა? რა გვარად დავაწყებინო?“ ამ კითხვებით იწყება თქვენი უკანასკნელი წერილი და, უნდა გაგიტყდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ თქვენ ამ კითხვებით ძალიან სახიფათო მდგომარეობაში მაყენებთ, ძალიან ძნელს საგანზედ მიწვევთ სამასლაათოდ, დიდს საგონებელში მაგდებთ თქვენ ამ კითხვებითა—მაგრამ უპასუხობა შეუძლებელია, რადგანაც ეს კითხვები შეადგენენ დიდს ვარამს ჩვენთვის, ქართველებისთვის. მეც ჩემი მხრივ ამ საგნის შესახებ, ბატონო ჩემო, გეტყვი იმას, რასაც მე ვფიქრობ, მე გაგიზიარებთ ჩემს ფიქრს და ჩემს გამოცდილებასაც ზედ დავაყოლებ. იქნება ჩემი შეხედულობა, ჩემი აზრი ამ საგნის შესახებ შემცდარი იყვეს, გამოურკვეველი, შეუსაბამო ჩვენ ცხოვრებასთან, მაგრამ ჩვენი ქვეყანა უკაცო ქვეყანა არ არის, შესაძლოა ჩემ შეცდომილებას კბილი გაუშინჯონ და ამ საგანს ნათელი მოჰფინოს ვინმემ. მაგრამ მიუბრუნდეთ ისევ საგანს. „როდის დავაწყებინო ნიკოს რუსული ენა? რა გვარად დავაწყებინოო?,“ მეკითხებით თქვენ. პირველ კითხვაზე ცოტა არა მეძნელება პასუხის მოცემა, რადგანაც არ ვიცი თქვენი ნიკო მზად არის, თუ არა ამ ენის შესასწავლებლად? **სამშობლო ენამ** მოუმზადა, თუ არა ნიკოს ნიადაგი ამ ძნელი ნაბიჯისათვის? მაგრამ უფრო მარტივად განვიმარტავთ ამას: თუ რომ 1) ნიკომ შეგნებულად ისწავლა ქართული წერა-კითხვა ე. ი. თუ მას შეუძლიან თავისუფლად წაკითხულის (შესაფერი სტატიებისა, რასაკვირველია) გარდმოცემა, განმარტება წაკითხულის საგნისა, პასუხი ყველა კითხვებზედ, ყველა სიტყვის ახსნა და თავის სიტყვით გადმოცემა ამ წაკითხულისა; 2) თუ ნიკოს სიტყვიერების ლექსიკონი იქამდის ფართო და გავრცელებულია, რომ თავისი ბავშვური აზრის გამოსათქმელად სიტყვების ძებნა არ უხდება; 3) თუ ნიკოს შეთვისებული აქვს მის გარემო ყოფი ბუნება, იცის ყოველაფერის სახელები, თვისებანი, ფერი, მდგომარეობა, საგნების ერთი მეორისაგან განრჩევა და ერთი სიტყვით, თუ მისი ნორჩი გონება შესაფერად მსჯელობის უნარს მიჩვეულია და ხუთი გრძნობა ნორმალურ ხმარებაშია ჩაყენებული, მე მაშინ თამამად გეტყვი, რომ ეხლა კი დრო არის მეთქი რუსული ენის სწავლება დააწყებინოთ თქვენს საყვარელს ნიკოს, მით უფრო ჩქარა, თუ აზრადა გაქვთ კიდეც მალე იგი სკოლაში მიაბაროთ, სადაც, ჩვენდა სავალალოდ, სამშობლო ენას ადგილი არ უჭირავს საგნებთა შორის. მაგრამ საქმე მარტო ამაში არ არის, მოწყალეო ხელმწიფევ. საქმე კიდევ იმაშია, თუ როგორ უნდა დაიწყოთ ეს ძნელი საქმე, რა მეტოდსა და წეს-რიგს მისდიოთ, რომ თქვენც პირნათლად აღასრულოთ თქვენი მოვალეობა და თქვენს პატარა გვრიტსაც ფრთები გაუშლევინოთ, დაათურგვინოთ სიძნელე და თქვენი ნაყოფიერი შედეგით თქვენც გაიხაროთ და სამშობლოც გაახაროთ თქვენი კარგი დედობით. მეტოდების არჩევის დროს მეტის-მეტად ფრთხილად იყავით, კეთილო დედავ, ყველაფერი კრიტიკის საცერში გაატარეთ, ყველაფერს დაუფიქრდით, ასწონდასწონეთ, ათასჯერ გაზომილი ერთხელ გამოსჭერით და ოსტატურადაც გამოსჭერით, თორემ უამისოთ თქვენ ბევრს სახიფათოს შეეყრებით, დიდ საგონებელში ჩავარდებით, ბატონო ჩემო! ჩვენს კურთხეულ ქვეყანას ბევრი „გულ-შემტკივარი“ გასჩენია. ყველა ამათ ენაზე აკერია საკუთარი მეტოდი და ჩვენ „საბედნიეროდ“ გვთავაზობენ ჩვენ. მაგრამ ამაზე მერე და ეხლა თქვენს ყურადღებას მივაქცევ რამდენიმე პედაგოგიურ ჭეშმარიტებათა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოთ თქვენ ენების სწავლების დროს და მეტადრე რუსული

ტის მთავრობის აზრის გაგება ამ სტუდენტზე.

◆ **ყრუ-მუნჯთა საზოგადოების** ტფილისის განყოფილების მდივანი დოქტორი თამამშევი ხსნის ტფილისში ამბულატორიას ავადმყოფს ყრუ-მუნჯებისათვის.

◆ როგორც შევიტყეთ, ავადმყოფ და ღარიბ **ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოებას** გადაუწყვეტია დააარსოს ტფილისში თავისი განყოფილება. ამასთანავე განზრახვა აქვთ, გამართონ ღარიბ ბავშვებისათვის უფასო სასადილო.

◆ თანახმად გუბერნატორის წინადადებისა, ტფილისის **ქალაქის გამგეობას** მსჯელობა ჰქონდა ძველ სახლების დათვალიერების არსებული წესის შესახებ. ამ წესით, ქალაქის ტეხნიკოსები, პოლიციის მოწვევით, დათვალიერებდნენ სახლს, შეადგენდნენ ოქმს და გადასცემდნენ ქალაქის გამგეობას, რომელიც თავის მხრივ უგზავნიდა ამ ოქმს პოლიციას. საალმაშენებლო წესდების მე-404 მუხლის ძალით კი ამ გვარ სახლების თვალ-ყურის გდება პოლიციის საქმეა; ამიტომაც ქალაქის გამგეობამ დაადგინა — აუხსნან ქალაქის ტეხნიკებს, რომ ისინი ათვალიერებენ ხსენებულ სახლებს, როგორც ექსპონატები, აქტის შედგენა და დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემა კი პოლიციის საქმეა. ტეხნიკი მხოლოდ ხელს აწერს შედგენილი ოქმს. ეს დადგენილება ეცნობა როგორც ბ. გუბერნატორს, ისე ბ. პოლიცმეისტერს.

◆ ქალაქის ტეხნიკს მელიქ-ბეგლიაროვს მინდობილი აქვს ქალაქის **სადეზინფექციო კამერის** გაფართოების პროექტის შედგენა. განზრახვა აქვთ მოუმატონ 2 ოთახი. ეს ოთახები და აგრეთვე კამერის რემონტიც უნდა დაჯდეს 2300 მ.

◆ ტფილისის **ქალაქის გამგეობამ** გუშინ დაამტკიცა ბ. შესტაკოვის მიერ შემუშავებული წესები ქალაქის კასის და სხვა ქონების თვალ-ყურის გდებისა.

◆ ნაძალადევის სახალხო ბიბლიოთეკის გამგე, ქ-ბნი დემურია, დიდ მადლობას უძღვნის თავ. ზ. ავალიშვილს, რომელმაც ხსენებულ ბიბლიოთეკას შესწირა თავის თხზულების („საქართველოს რუსეთთან შეერთება“) ორი ეკზემპლიარი.

თეატრი

ქართული თეატრი. „ბედს ვერ წაუხვალ“ დრამა 4 მოქმ. და „ძალად ავაზაკნი“ კომ. 1 მოქმ.

როგორც იქმნა, ჩვენი თეატრის დარბაზი აავსო საზოგადოებამ, ვერ ვიტყვით, რომ „ვაშლი არ ჩამოვარდებოდა“, მაგრამ რაც შეეხება მაგალითად გოგრას, ჩამოვარდნამდე იგი ცოტა ფიქრს მიეცემოდა, როგორც ის გოგრები, რომელნიც ორი კვირის წინ „ფანტაზიის“ ბალში თავს დაჰყურებდნენ სრულიად საქართველოს მონადიმე თავად-აზნაურობას.

დიახ, კაცობრიობის არა მცირედი ნაწილი შეიკრიბა ხუთშაბათს თეატრში—იგი მიიზიდა საყვარელ აქტიორის სახელმა და ღრმა შთაბეჭდილებათა გამოცდის სურვილმა, მაგრამ.,. ბედს ვერ წაუხვალ—საზოგადოება წავიდა თეატრიდან ისე, რომ ერთი კარგი სიტყვაც კი არ უთქვამს ნახულზე და გაგონილზე.

ღმერთო ძლიერო, რა პიესა იყო! ძალნო ცისანო და მიწისანო, როგორ აასრულეს ეს პიესა!

ჯერ იმ საღამოს გმირზე ვილაპარაკოთ.

ბ. მესხიშვილის ნიჭი იმდენად დიდია და ყველასაგან ცნობილი, რომ ახალი დაფასება მისი მეტი იქმნება; მაგრამ არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ არტისტს ასეთის პიესის არჩევა. მართალია, თვით უდიდესი არტისტები გამოდიან უხეირო პიესებში, სადაც მას შეეძლება გამოიჩინოს თამაშობის ტეხნიკა და ამისთანა შემთხვევებში დანარჩენი არტისტები და თვით ავტორი შესაბრალის როლს თამაშობენ: ამათი დანიშნულებაა გაუხდნენ ჩარჩოდ გმირ-აქტიორის თამაშსა და ეფექტებს. სწორედ ამ გვარი შთაბეჭდილება მივიღეთ გუშინ·,ინდელ წარმოდგენიდანაც. მაგრამ ღირდა კი უმზგავსოდ გადმოკეთებულ პიესის არჩევა და მისი ასე ცუდათ შესრულებას იმისთვის, რომ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო ბ. მესხიშვილის თამაშის ღირსება?

უბედურ მოხუცს სურს მალულად ნახოს თავისს შვილის-შვილი და ქურდივით ღამე შეიპარება სახლში; გზაზედ იპოვნის გულსაკიდს, რომელიც ერთ დროს მან ცოლს აჩუქა; ამ დროს მოცვინდებიან მსახურები და დაიჭერენ მას. დანაშაულობა ცხადია და მოხუცი ბრალდებულის სკამზე ზის, თუმცა მისმა ქალმა იცის,რომ ეს მისი მამაა და არავითარი არ დანაშაული ჩაუდენია. მაგრამ ყველა ეს საჭირო იყო მოხუცის პასუხის გებაში მიცემისათვის, რათა მას განეცადა მთელი რიგი წამებისა და შემდეგ ყველაფერი გამორკვეულიყო და ყველა შერიგებულიყვნენ.—დასასრულ მოხუცი მშვიდად და წყნარად ესალმება წუთის-სოფელს.

ქ. ბ. ჩერქეზიშვილის სინანულში ჩავარდნილ მაგდალინასა და ცხოვრებაში გაცვეთილ grande dame-ის როლში გამოსვლა რაღაც წარმოუდგენელი რამ არის. მადლობა ღმერთს, რომ ვოდევილში იგი თავისს ქერქში იყო.

M-elle ლეჟავა... საწყალი ლეჟავა! როგორ იმტვრევდა ხელებს, იკვნეტდა ტუჩებს! მაგრამ ისეთ დრამატიულ მომენტის დროს, როცა მამა უნდა ეცნო, ეს მას ერთის წამით გვიან მოუვიდა: სუფლიორმა ბევრად ადრე იცნო და მაღლა დაიძახა „მამა, მამა“-ო. M-elle ლეჟავა იძულებული შეიქმნა დათანხმებულიყო სუფლიორს და გაიმეორა—„მამა, მამა“-ო.

ბევრი, მეტად ბევრი მუშაობა სჭირია ახალგაზდა არტისტ ქალს. ხოლო რიგიანად დასწავლას კი ეხლავე, კარიერის დაწყებისათანავე უნდა სცდილობდეს. ხუთშაბათს ესეც აკლდა მას.

ბ. სვიმონიძე ცოტათი მზა-ტანისამოსის მაღაზიის მანეკენს მოაგონებდა კაცს. მისი თვალები კი ძველებურად შეუჩერებლად ბრიალებდნენ და წარბები ძველებურადვე თმისაკენ მიიწევოდნენ.

„ლოჟიებზე“, მოსამსახურეებზე და სამართლის ქურუმებზე არას ვიტყვით.

ღმერთო, როგორი მოწყენა სუფევდა თეატრში წარმოდგენის გათავებისას! რას იზამ, ბედს ვერ წაუხვალ!

შემთხვევითი რეცენზენტი.

კავკასიის გამოფენა

IX

საპედაგოგიო-საპროფესიონალო განყოფილება

მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის განყოფილებიდან პირ-და-პირი გზაა იმ განყოფილებაში, სადაც მოთავსებულია ექსპონატები იმ სკოლებისა, სადაც უმთავრესად ხელოსნობას ასწავლიან, ან არა—საგნების სწავლებასთან ხელოსნობაც მოთავსებულია. გამოფენაზე ამ განყოფილებას საპედაგოგიო-საპროფესიონალო განყოფილება ჰქვიან.

შეხვალთ თუ არა მარჯვენა მხარეს, დაინახავთ ბორჯომის სახელოსნო სკოლის მოსწავლეთა ხელობის ნაწარმოებთ. ეს სკოლა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედაა დაარსებული. წარმოდგენილია მხოლოდ მოსწავლეთა წარსული სასწავლო წლის ნაწარმოები რკინისა, თუ ხის მშვენიერის ხელობისა. აქვეა კოლლექცია იმ ნიმუშებისა, რომლის დათვალიერებით მნახველი ადვილად მიხვდება, საიდან იწყებს ამ სკოლის მოსწავლე ხელობის სწავლას და როგორ გადადის უფრო ადვილის საგნიდან რთულს საგანზე. შემდეგ აქ არის შკაფები, სტოლები, კრავატები, სახარატო ჩარხები და სხვა.

სტოლებზე გამოფენილია მოსწავლეთაგან ხაზვის დიდრონი რვეულები.

ბორჯომის ტყის გვარეულობის ნიმუშებიც ბევრია.

ზაქათალის მდაბალ სახელოსნო სკოლასაც კარგი ნიმუშები წარმოუდგენია თავის მოწაფეთა ხელობისა—რკინისა, თუ ხისა.

ბაქოს სამექანიკო-სატეხნიკო სასწავლებელს და ამასთანავე არსებულს მდაბალ სახელოსნო სკოლას დიდი კოლექცია წარმოუდგენია სხვა-და-სხვა ხელობისა: ბევრგვარი იარაღი, მჭედლობის ნიმუშები, სხვა-და-სხვა ჯურის კლიტეები, სახარატო, ბურღვის გამოსაჭრელი, რკინის სახვრეტი, რკინის გასარანდი ჩარხები და სხვ. ყველა ესენი დიდის ხელოვნებითაა ნაკეთები. აქვეა გამოწყობილი ალბომები, რომელშიაც არის მოსწავლეთა ხაზვისა და ხატვის ხელობა.

ბათუმის სახელოსნო სკოლას ორი საფეიქრო წარმოუდგენია და სკოლის მოსწავლეები აქვე უჩვენებენ მსურველთ, როგორ იქსოვება ხავერდი, გინა აბრეშუმეული. ერთი საფეიქრო ხავერდსა ჰქსოვს, მეორე—აბრეშუმეულსა; მშვენივრადაც ჰქსოვენ. ცალკე შკაფში აბრეშუმის ქსოვილებიცაა გამოფენილი.

ამ სკოლაში სხვა ხელობასაც ასწავლიან. მშვენიერი ხელობის ნაწარმოებია სხვა-და-სხვა ჩახსები რკინისა და საზოგადოდ რკინით ხელოსნობის ნიმუშებისა.

განყოფილების მარცხენა მხარეს რომ მოუხვევთ, გრაფ ლორის-მელიქოვის სახელობაზე არსებულის კავკავის სახელოსნო სასწავლებლის ექსპონატებს დაინახავთ. აქაც რკინისა და ხის მშვენიერი ხელობაა წარმოდგენილი.

შემდეგ მიჰყვება ნოვოროსიის მდაბალი სახელოსნო სკოლის ექსპონატები; ამის გვერდით—ვორონცოვის მდაბალი სახელ. სასწავლებელი.

ფოთის საქალაქო სასწავლებელთან სახელოსნო განყოფილებაცაა გამართული. ამ სასწავლებელში ხელობას კარგი ადგილი უჭირავს, როგორც ეტყობა. გამოფენაზედ წარმოდგენილი ნიმუშები ამ სასწავლებლის მოსწავლეთა ნახელავი—რკინისა თუ ხისა—ცხადათ მოწმობს ამას. ფოტოგრაფიული სურათები, რომელიც ბლომად არის აქ გამოფენილი, მნახველს უადვილებს სკოლის შინაურ მდგომარეობის გაცნობას.

განჯის მიხეილის სახელობაზედ არსებულს სახელოსნო სასწავლებელშიაც რიგიანად წარმოებს ხელოსნობა და ხალხისათვის უფრო საჭირო ხელობისათვის მოუკიდნია ხელი ამ სასწავლებელს. საზოგადო ხელობის გარდა, აქ მეურნეობის დარგის საჭიროებასაც ყურადღებას აქცევენ: ასწავლიან მეურნეობაში სახმარებელ სხვა-და-სხვა იარაღების კეთებას და ამის კარგი ნიმუშებიცაა წარმოდგენილი გამოფენაზე; მებაღეობის ნიმუშები და მეაბრეშუმეობისა ცხადათ გვიჩვენებს, რომ ამაზედაც ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული განჯის სახელოსნო სასწავლებელს.

ენისა: 1) უწინარეს ყოვლისა თქვენმა ნიკომ უნდა ისწავლოს რუსული ლაპარაკი სამშობლო ენის შემწეობით და როცა ცოტათი მაინც გაიმართება ამ ლაპარაკში, ე. ი. შეისწავლის სიტყვებს, ფრაზებს, საგნების სახელებს და ერთი სიტყვით რუსულად ამოიბამს ენას, მაშინ შეგიძლიანთ წერა-კითხვის სწავლებაც დააწყებინოთ. უამისობა კი იმას ეგვანება—სახლის შენება რომ კედლებისა და ბანის აშენებით დაიწყოს ვინმემ და საძირკველზე კი მერე იფიქროს. ესეა საგნის შესწავლაც და მეტადრე უცხო ენისა. ბავშვმა ჯერ არც ერთი რუსული სიტყვა არ იცის, არც ერთი დასახელება საგნისა, არა გაება რა რასაც ანბანის შესწავლაში შეჰხვდება—სიტყვებისა, ფრაზებისა და ზოგიერთ მშობლებს კი უნდათ უცხო ენის წერა-კითხვის სწავლებით შეაშინონ ბავშვი, მის ცნობის-მოყვარეობას სიძნელის ლობე აუღობონ, დაკლან, გაანადგურონ მისი ბუნება, შელახონ მისი ლტოლვილებანი, სამშობლო ენის მეოხებით ომოცენილი; 2) ბავშვი უნდა იყვეს მომზადებული სამშობლო ნიადაგზე ისე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. რუსული ენის სწავლება უეჭველად უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენის შემწეობით, რადგანაც იგი არის დიდი მეხანიზმი, რომელიც ამოძრავებს ბავშვის ბუნებას, უნერგავს სიყვარულს სხვა საგნისადმი, ახალისებს ბავშვს, აცოცხლებს, ახარებს,'უნათლებს გულს, უადვილებს ყველაფერს; 3) მისდიეთ უეჭველად ყველაფერში ბუნებას. ის, ვინც ძალას ატანს ბავშვის ბუნებას და ეწინააღმდეგება მას—იგი ასუსტებს სწავლის მეტოდების ძალას, უშლის ბავშვის გონებითი განვითარებას. ბუნება მისდევს ადვილიდან-ძნელზედ გადასვლას, თან და-თანობას და ამ მოძღვრებას არასოდეს არ უნდა უღალატოთ. აბა ერთი შეხედეთ ჩიტის ბარტყს, რომელიც ეს არის ფრენასა სწავლობს—იგი ჯერ ფეხზე დგომასა სწავლობს, მერე ეჩვევა ფრთების მოძრაობაში მოყვანას, მერე ამავე იარაღების გაშლასა და ქნევას და როდესაც ფრთებს ძალა მიეცემა—ნელ-ნელა მაღლა აწევას და სულ ბოლოს ფრენას იწყებს ხოლმე ცის კამარაში. 4) საზოგადოთ ენის სწავლების დროს ეცადენით ნიკო ატრიალოთ იმისთანა ბავშვების წრეში და საზოგადოებაში, სადაც სისწორით და მშვენივრად ლაპარაკობენ, არ ურევენ ერთი ენის სიტყვებს და ფრაზებს მეორე ენაში. აქ ბავშვს ეძლევა შემთხვევა გაიგოს და შეითვისოს სიმშვენიერე ენისა მიბაძვის თეორიით და ასცილდება კიდეც იმ საზიზღარ ჩვეულებას—ჭრელად ლაპარაკს, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ასე გავრცელებულია ჩვენში; 5) ერთს ენას რომ ასწავლიდეთ, იმავე დროს სხვა ენის სწავლება აღარ დააწყებინოთ, რადგანაც ისე არეფერი უშხობს ბავშვს ჭკუა-გონებას და ურევს გზა-კვალს, როგორც ერთსა და იმავე დროს სხვა-და-სხვა ენის სწავლება. ეს ისეთივე შეუსაბამოა, როგორც ის, რომ ქვაბში მოსახარშავად ჩაჰყაროთ ლობიო, ხორცი, ბრინჯი და თევზი; 6) მიაქციეთ დიდი ყურადღება ბავშვის შთაბეჭდილებათა. ბავშვი ჰხედავს რომელიმე საგანს — ცეცხლს, შარს, კატას და ამ წუთში იზიდავს ბავშვის ყურადღებას; ამ დროს უცხო ენაზე ესმის სახელი საგნისა, სახელიც მოქმედობს აფორიაქებულ ყურადღებაზე და სწრაფ უკავშირდება საგანს. და რამდენად საგრძნობელია საგანი, იმდენად მალე იბეჭდება ბავშვის მეხსიერებაში მისი სახელი; 7) ეცადენით, რომ ყოველივე სიტყვა და ფრაზა გარკვევით, ცხადად და სასიამოვნო ხმით გადასცეთ ხოლმე ნიკოს. ყოველივე უგულოდ და უმარილოდ სწავლება არ ახდენს ბავშვზედ შთაბეჭდილებას, არ იზიდავს მას და, მაშასადამე, თქვენც ვერ მიახწევთ სასურველს შედეგს სწავლებისას. ბავშვი ითვისებს ადვილად იმას, რაც მას აკმაყოფილებს და სიამოვნებას აძლევს, მეტადრე უცხო ენის სწავლებაში; 8) ხშირი განმეორება სიტყვებისა და ფრაზებისა ძალიან მარჯვეთ ათვისებინებს უცხო ენას; 9) ეცადენით, რომ ბავშვს შეათვისებინოთ ის, რაც უფრო ადვილია, რაც უდგება ბავშურ ბუნებას, არ ამახინჯებს მას. უნდა ესეც გახსოვდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ბავშვს ასწავლით რუსულს ენას სარგებლობისათვის და არა იმისთვის, რომ მისი ცოდნით საზოგადოება გააკვირვოთ და მით თქვენ თავი მოიწონოთ; 10) უცხო ენის სწავლება, ამოს კომენსკის აზრით, კარგად წავა მაშინ, თუ ა) მასწავლებელი და მოწაფე ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ; ბ) თუ ყველაფერი—გრამატიკა იქმნება თუ სიტყვიერება — შეთანასწორებული იქნება იმ ენასთან, რომლის შემწეობითაც გინდათ უცხო ენა შეასწავლოთ ბავშვს; გ) თუ სასწავლო მასალა ისე იქნება განაწილებული, რომ მოწაფეები გაიცნობენ ჯერ ახლო საგნებს, მერე უფრო შორეულს და მერე კი უფრო და უფრო დაშორებულს; დ) თუ ჯერ ყველაფერს გრძნობების მეოხებით შეასწავლით, მერე მეხსიერებით, მერე გონებით და ბოლოს მსჯელობითაც. ამაში მდგომარეობს თანდა-თანობა სწავლებისა და სხვა. მე შემეძლო აქ ჩამომეთვალა, მოწყალეო ხელმწიფევ, სხვა წარჩინებულ კაცთა შეხედულებაც ამ საგნის შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა თქვენს სახელმძღვანელოდ და გამოსარკვევად იმ მეტოდებისა, რომელზედაც შემდეგ წერილში გამოგელაპარაკებით.

ალ. ნათაძე.

ახალციხის ოთხკლასიან საქალაქო სკოლაშიაც ნაკლები ყურადღება არ არის მიქცეული ხელობაზედ. ამ სასწავლებელში დამატებითი კლასი ყოფილა განსაკუთრებით ხელობის განვითარებისათვის და ამ კლასის მოსწავლეთა ხელობის ნიმუშებია წარმოდგენილი.

შუა ადგილი ამ განყოფილებისა დაჭერილი აქვთ: დამნაშავე ბავშვთა კოლონიას ავჭალაში, ს. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის პანსიონს, ტირძნისის ორ-კლასიან საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელს, საცხენისის პირველ-დაწყებით სასწავლებელსა და აწყურის (თელავის მაზრა) ორ-კლასიან საეკკლესიო-სამრევლო სკოლასა.

დამნაშავეთა გამასწორებელ კოლონიაში არგად ასწავლიან დურგლობას, მეწაღეობას, წიგნების აკინძვას და დერციკობას.

ქ.-ბ. არღუთინსკი-დოლგორუკის პანსიონში, სჩანს, პატარა მოსწავლეთა ხელობას კარგ ყურადღებას აქცევენ. განსაკუთრებით შესანიშნავია 16 წლის მოსწავლის ქანდაკების ხელობა: თიხიდან ისე საუცხოვოდ გამოუქანდაკებია „გზირი“, რომ ცოცხლად თვალ-წინ წარმოუდგება მნახველს.

ტირძნისის სკოლას წარმოუდგენია ნიმუშები მებაღეობისა, ბოსტნეულობისა, ყურძენი, აბრეშუმის პარკი და თაფლი.

საცხენისის სასწავლებელს გამოუფენია: ხილი, ბოსტნეულობა, ყურძენი, თაფლი; შინაური ცხოვრება სასწავლებლისა დასურათებულია ფოტოგრაფიულის სურათებითა.

აწყურის სასწავლებელსაც მოსწავლე ქალთა ხელობა აქვს წარმოდგენილი, აგრეთვე აბრეშუმის პარკი, ხილი და სხვა-და-სხვა თესლები.

ქ-ნი ე. ალმაზოვისას საპროფესიონალო სასწავლებელი აქვს ტფილისში. ცალკე შკაფში მოთავსებულია ამ სასწავლებლის მოსწავლეთა ხელობისნაწარმოები: მშვენივრად ნაკერი კაბები, ქსოვილები სხვა-და-სხვა ნაირი, ხელოვნებით გაკეთებული ყვავილების თაიგულები, ნაქსოვები და სხვ. ყველა ნახელავი იმის დამამტკიცებულია, რომ ქ-ნ ალმაზოვის პანსიონში ხელობა კარგადაა დაყენებული. — მე.

**

გუშინ, შუადღეზე, გამოფენაზე ბრძანდებოდა სომეხთა კათოლიკოსი მკრტიჩ I. მის უწმინდესობას მიეგებნენ უმთავრეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე სულთან-კრიმ-გირეი, კომისარი თ. ანდრონიკაშვილი და მიწად-მოქმედების სამინისტროს მოხელე ავ. ქალანთარი. კათოლიკოსმა დაათვალიერა მთელი გამოფენა და სხვათა შორის, იყო ნავთის-მწარმოებელთა პავილიონში. საჭირო ახსნას აძლევდა ავ. ქალანთარი.

**

დღეისთვის დანიშნულია უმთავრეს საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მსჯელობა უნდა იქონიონ გამოფენის 20 ნოემბრამდე განგრძობის შუამდგომლობაზე.

**

დღეს გამოფენაზე სამეურნეო იარაღების კომისია გამოსცდის ბამბის საწმენდ მანქანებს.

**

მექანიურ განყოფილების საექსპერტო კომისიამ გამოსცადა გუშინ ხელინსკის სისტემის ბუხრები.

შინად მრეწველთა კრება

11 ოქტომბერი

11 ოქტომბრის სხდომაზე კრებამ პირველად მოისმინა არ. ს. ფირალოვის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს ჩვენში შინად-მრეწველთა ნაწარმოების გასაღების საქმე პირდაპირ მხმარებლებზე წვრილმან ვაჭრების უშუამდგომლოდ. ამას, მისის აზრით, ხელს შეუწყობს მუზეუმის დაარსება სავაჭრო საწყობის განყოფილებით; აქ უნდა მიიღონ ხოლმე სამუშაო და შემდეგ შეუკვეთონ მწარმოებელთ. მუზეუმი, ფირალოვის აზრით, უფრო ბევრს სარგებლობას მოიტანს, უფრო წამოაყენებს და გააუმჯობესებს ნაწარმოებთა დამზადების საქმეს, თუ ისე მოეწყო, როგორც ავ. ქალანთარმა თავის მოხსენებაში გვიჩვენაო.

მეტად საყურადღებო ცნობები წარუდგინა კრებას დაღესტნის ოლქში საოჯახო მრეწველობის შესახებ ე. ი. კოზუბსკიმ. მან აღწერა და დაახასიათა მრეწველობის მხრით თითოეული კუთხე და ჯგუფ-ჯგუფად ყველა იქაური სოფლები. მომხსენებლის ცნობებით, მრავალი ნივთი მზადდება დაღესტანში და კარგი ბაზარიც აქვს მოპოვებული, განსაკუთრებით ნაბდებს, ქეჩებს, ხალიჩებს, შალებს, ტილოს და სხვათ. მაგ. **1892** წელს ამ ოლქიდან **50** ათასი ნაბადი გაუტანიათ **52,380** მან. ბევრს აკეთებენ აგრეთვე მაუდს. **1892** წელს **14.000** ნაჭერი მაუდი **50** ათას მან. გაუტანიათ; **1900** წ. **16** ათასი ნაჭერი და სხ. მომხსენებლის აზრით, თუ გვინდა, რომ საფაბრიკო ნაწარმოებმა არ შეავიწროვოს ამ მხარეში საოჯახო მრეწველობის ნაწარმოები და, საზოგადოდ, გაუმჯდობესდეს მისი წარმოება, საუკეთესო იქმნება დაარსდეს საცდელი სახელოსნოები, მუზეუმები. კარგად დაეხმარებიან აგრეთვე ამ საქმეს ინსტრუქტორები.

შემდეგ მოხსენება წაიკითხა გ. გძელიშვილმა ქუთ. გუბ. მრეწველობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ რაჭის მაზრაში აკეთებენ ოჯახშივე მოსახმარებლად შალებს, თეთრ ნაბდის ქუდებს, ჭურჭელს თიხისას და სხვ.; ქუთაისის მაზრაში დანებს, ციმრისაგან სხვა-და-სხვა ნივთებს, კულებს; სამეგრელოში აბრეშუმეულობას, ხოლო შორაპნის მაზრაში—ხალხი თიხის ჭურჭლებს. ხალხში მრეწველობის შესახებ ცოდნის გავრცელებას ხელს შეუწყობს, მისის აზრით, კოოპერაციული ამხანაგობების დაარსება.

შემდეგ ბ. ზგლენიცკიმ მეტად საინტერესო ცნობები მოიყვანა ბაქოს გუბერნიებში ოქროსა და ვერცხლისაგან სხვა-და სხვა ნივთიების დამზადების შესახებ. მოხსენების დასასრულ ბ. ზგლენიცკიმ უჩვენა დამსწრეთ მის მიერ შეკრებილი კოლექცია ოქრო-ვერცხლისა და ძვირფას ქვების ნათობისა. მოხსენებაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ამ ჟამად განზრახვა აქვთ ბაქოში ისეთი სპეციალური სახელოსნო-სასწავლებლი დააარსონ, სადაც ყველა მოხელენი გაგზავნიან ხოლმე თავიანთ ბავშვებს აღნიშნულ ნაწარმოებთა კეთების შესასწავლად. ამ სკოლაში 4 წლის კურსი იქნება, წელიწადში 8 ათასი მანათი ეყოფა შესანახად. თუ სკოლა დაარსდა, ბაქოს ქალაქის გამგეობა ყოველ წლიურ შემწეობად 2000 მან. ჰპირდება. მომხსენებლის აზრით, კავკასიაში საოჯახო მრეწველობის ორი მუზეუმი უნდა დაარსდეს—ტფილისსა და ბაქოში. ფ. ა. შიმანოვსკიმ თვის მოკლე მოხსენებაში აღნიშნა სხვა-და-სხვა ჯიშის ხეების თვისება, რაც საუკეთესო მასალაა ხის ნაწარმოებთათვის და რადგანაც კავკასიაში უხვადაა ხე-ტყე, კარგი იქნება, კრებას სახეში ექმნეს ხისგან სხვა-და-სხვა ნაწარმოების კეთების გაუმჯობესების საქმეც.

მოხსენების გათავების შემდეგ ბ-ნ პერევოზნიკოვმა და ი. ქუთათელაძემ განაცხადეს: კრებას ჰსურს მუზეუმისა და საწყობების გაკეთება, მაგრამ საჭიროა მან ამასთანავე დაგვისახელოს წყარო, თუ საიდან შეიძლება გვექნეს ფული; რიგიან მუზეუმის დაარსებას მეტად ბევრი დასჭირდება. ამაზე უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩვენ საქმის ამ მხარეს ვერ შევეხებით, ჩვენი საქმეა პრინციაპიალურად საკითხის გამორკვევაო. უმრავლესობის მოსაზრება მიიღო კრებამ და თავმჯდომარის წინადადებით შეუდგნენ იმის გამორკვევას, თუ როგორი ტიპის უნდა იქნეს მუზეუმი. კამათის დროს გამოირკვა, რომ კრება საჭიროდ სთვლის—ისეთის მუზეუმის დაარსებას, რომელიც ცოცხლად იმოქმედებს ხალხში; მაგალითად, სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა ნიმუშების შეგროვების გარდა, მუზეუმთან უნდა გაკეთდეს საწყობი, რომელიც შუამავლობას გაუწევს მრეწველს მხმარებელთან და ააცილებს წვრიმალ ვაჭრების გავლენას; მიაწვდის მწარმოებელს საჭირო სურათებს, ნიმუშებს, მასალას; მოეხმარება საუკეთესოდ მასალის დამზადებაში; იქვე იქნებიან ინსტრუქტორები და ხალხს საჭირო რჩევა-დარიგებათ მიაწვდიან.

საბოლოოდ საკითხის გარდაწყვეტა გადაიდო შემდეგ სხდომისათვის.

პროვინცია

ს. ლეხაური (ოზურგეთის მაზრა). წელს გურიაში დიდი ზარალი მოიტანა ხშირმა წვიმებმა და წყალ დიდობამ. მაგრამ უფრო კი ს. ლეხაური დაზარალდა. ღვინის მოსავალი ძლიერ ნაკლებია. თუ შარშან თითეულმა მოსახლემ 50—60 დის სარწყავი დააყენა, წელს 10—15-დის არ არის. ამას დაემატა არყის ბაჟის მომატება. არაყით სოფლელები თრ გროშს მოუდობდა და გადასახადს და სხვა წვრილმან ხარჯებს ისტუმრებდა. ეხლა კი, როცა არაყს დაადვეს გადასახადი გრადუსზე $4\frac{1}{2}$—7 კაპეიკამდის (შარშან თუ ვედრო არაყზე მანეთს ვიხდიდით ბაჟს, წელს სამი მანეთიდან ოთხ-მანეთამდის უნდა გადავიხადოთ), შრომის ფასი არ რჩება. ბაჟის მომატებით იძულებული გართ ხელი ავიღოთ არაყის გამოხდაზე და ჭაჭა დორებს უნდა გადაუყაროთ.

სიმინდის მოსავალიც ძლიერ მცირეა. ოცს მოსახლეში ხუთი არ არის, რომ საყიდლათ არ დაურჩეს სიმინდი.

ამაების მიუხედავათ წელს ორი საზოგადო საქმე დაარსდა ს. ლეხაურში—1) შემნახველ-გამსესხებელი კასსა და 2) ეტლების მიმოსვლა ოზურგეთიდან ლეხაურამდის. პირველსაც და მეორესაც საზოგადოება სიხარულით მიეგება. ათის დღის განმავლობაში ასმა კაცმა მოაწერა ხელი ეტლების ამხანაგობის პაებს (პაი ღირს 5 მ.) და ხუთმეტი დღის განმავლობაში გაჩაღდა მიმოსვლა. (ხუთ ვერსტზე წასვლა ღირს 15 კაპეიკად,) შემნახველ-გამსესხებლის კასსის წევრობაზე დღეს განაცხადეს სურვილი ორმოცდა-ათ კაცამდის.

გვაკლია სახალხო ბიბლიოთეკა, რაიცა ძლიერ საჭიროა ს. ლეხაურში. ამ უკანასკნელის განსახორციელებლად იმედი გვაქვს მღვდლები, რომლებიც საკმაოდ შეგნებულნი არიან, გაირჯებიან — სოფლის საკეთილ-დღეოთ. ჩვენ ჩვენის მხრით შეძლების და გვარად არ დავიშურებთ შემწეობას და ხელს შევუწყობთ.

მ. რუსიეიშვილი.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

12 ოქტომბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს დეისტვიტ. სტატსკი სოვეტნიკს თავადს ობოლენსკის ებრძანა იყოს უმართებულესის სენატის წევრად და ებოძა ტაინი სოვეტნიკობა.

გზათა მინისტრი შეუდგა მისდამი რწმუნებულ სამინისტროს მართვა-გამგეობას.

მე-45 დრაგუნთა სევერსკის პოლკი კოპენჰაგენში ჰგზავნის დეპუტაციას, რომელმაც უნდა წარუდგეს ამ პოლკის შეფს დანიის მეფეს პოლკის არსებობის ორასი წლის დღესასწაულისა გამო. დეპუტაციაში მონაწილეობას მიიღებს პოლკის უფროსი და შეფის ესკადრონის უფროსი.

დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორი თავადი ბარიათინსკი ჩაირიცხა კავკასიის სამხედრო ოლქში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 11 ოქტომბერს საღამოს 10 საათზე, სორმოკის ქარხნებში სახელოსნოებში ცეცხლი გაჩნდა. ღამის პირველ საათზე ცეცხლი გააქრეს, შეიტუსა ერთი ბარგისა და სამი მგზავრთა ვაგონი, დაზიანდა თოთხმეტი ორთქლ-მავალი. ქარხნებში ყველაფერი დაზღვეული არის.

კალუგა. 10 ოქტომბერს გოვარდის ქაღალდის ქარხანას მედინსკის მაზრაში ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ორთქლის ქვაბები და ორთქლის მანქანა.

ლონდონი. მეფემ სადილს უკან სოლისბიური მიიღო სადარბაზოდ; დარბაზობამ კარგა ხანს გასტანა.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ მიიღო პროექტი, რომელიც შეეხება საფრანგეთში ხორბლის შეზიდვის დროებით წესების შეცვლას. პროექტს მიზნათ აქვს ბოლო მოუღოს ხორბლით ვაჭრობის საქმეში სიყალბე-მოტყუებას.

მოსკოვი. 11 ოქტომბერს საიდუმლო პოლიციამ შეიპყრო ორი გაიძვერა, რომლებიც უბოლო ქაღალდს ასაღებდნენ, როგორც, ვითომდა ყალბ ფულს. ერთი ამ შეპყრობილთაგანი ებრაელია, მეორე მასწავლებელი, კლუბების წევრი.

11 ოქტომბერს იდღესასწაულეს სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის რიხტერის ერობაში სამსახურის ოცდა ათი წლის შესრულება.

ფილიპოპოლი. აქ ამბავი მოვიდა ანინის გამგემ ბრძანება გასცა დაატუსაღონ პარამიტაში ოთხი მაჰმადიანი. მათ შორის ვილაცა უსუფ-ფაშაც. მათ ჰბრალდებათ რევოლიოციონურ მოძრაობაში მონაწილეობა.

კალიში. ორი კვირაა თბილი დღეები დაიჭირა. დღისით 18 სითბოა, ღამით 14.

ტობოლსკი. 10 ოქტომბერს ტობოლის ვიცე-გუბერნატორი პროტოსიევი წავიდა ტარსკის და ტიუკალინის მაზრებში დამშეულთა შორის სამუშავოებისა და შემწეობის მოსაწესრიგებლად.

სევასტოპოლი. უმთავრესი საზღვაო შტაბის უფროსი ადმირალი აველანი გურზუფში წავიდა.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1901 წლის, 19 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში ქ. ქუთაისში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით შემდეგი საქმეები ჭიათურის მარგანეცის სამრეწველო რაიონში:

1) რგანის გზა-ტკეცილის გაკეთება, 3332 მან. 70 კაპ.

2) სამრეწველო გზების შეკეთება 2056 მან. 80 კაპ. სულ საქმეების ღირებულება 5,389 მან. 50 კაპ.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს 5% საქმეების ღირებულებისა ან ნაღდ ფულად, ან სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სარგებლიანის ქაღალდებით. ვაჭრობის შედეგი კრების საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

ხარჯთ-აღრიცხვის, გეგმისა და პირობების გასინჯვა შეიძლება საბჭოს სადგომში ყოველდღე. (ნ. 3—2)

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Октября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.